განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ - ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

რაინდი როდონაია

წევრ(ებ)ი:

ეკა თაბუაშვილი

ნაწილი I. შესავალი

[1]**შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციოკოდი	241572507

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ყვარელი
ფაქტობრივი მისამართი	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ენისელი
საფოსტო ინდექსი	4807
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Eniseli@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577122319

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 29 აპრილის N504793 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 29 აპრილის N504793 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს - რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე) და ეკა თაბუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) — დაევალა ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული „ა" და "დ" პუნქტების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების განხორციელება სსიპ - ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის საჯარო სკოლის დოკუმენტების შესწავლით (გეგმური მონიტორინგი).

წარმოების ფარგლებში სკოლამ უზრუნველყო სტანდარტის შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შესწავლილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ერთობლივი მუშაობით მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
360	227

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის საჯარო სკოლა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაფიქსირებულ ხარვეზს, დაეთანხმა და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში განთავსა ვებგვერდზე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, ცვლილება ასახა დასკვნაში და სტანდარტი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა	სასურველია სკოლამ შეიმუშავოს განცხადების მიღებისა და საჩივრების განხილვის დეტალური მექანიზმები.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მორგებულია სასკოლო საზოგადოების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე. მისია და ხედვა ასახავს ორგანიზაციის დანიშნულებას და გამოკვეთს იმ ძირითად მისიას, რაც აკისრია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. სკოლის მისია არის ისეთი თაობის აღზრდა, რომელსაც ექნება ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება, რაც მას დაეხმარება ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. სკოლის ხედვა კი წარმოადგენს სკოლის სურვილს, რომ სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით, სკოლასა და ოჯახის კონსტრუქციული თანამშრომლობით და პასუხისმგებლობის გადანაწილების გზით აღზარდოს დემოკრატიული, ჰუმანური, ცოდნაზე ორიენტირებული, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე თაობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც დაწესებულება, რომელიც ეხმარება მოზარდს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. სკოლის ხედვაში წარმოდგენილია, რომ სკოლა არის ადგილი, სადაც უნდა აღიზარდოს დემოკრატიული, ჰუმანური, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე თაობები, ის წარმოადგენს სოციო-კულტურული სივრცეს, რომელიც ორიენტირებულია ცოდნაზე და პიროვნულ განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია ,,სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების, დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები. სკოლის ფილოსოფიის შესამუშავებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა მასწავლებლების, მოსწავლისა და მშობლისგან. სკოლის ფილოსოფიის შექმნისას სამუშაო ჯგუფის მიერ გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ინტერესები, სურვილები და შეხედულებები, რაც დასტურდება მტკიცებულებებით (სამეურვეო საბჭოს ოქმი, პედაგოგიური საბჭოს ოქმი, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში ასახულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მექანიზმები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პირველადი ვერსიის შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, შემდეგ კი სასკოლო საზოგადოების მიერ გადაიხედა და გაზიარდა მასწავლებლებთან შეხვედრებსა და მშობელთა კრებებზე. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსია გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ყველა დაინტერესებული პირისთვის საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება „სსიპ-ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის საჯარო სკოლა“ სრულად შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრულ სტატუსს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
სკოლის ვებგვერდი;
ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი
მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებაზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ამსახველი დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს: მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების დაგეგმვის ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შეიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს, ასევე უზრუნველყოფილია სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 2023-2030 წლების პერიოდს და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურების მოძიებით. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დეტალურად ახდენს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს და შეიცავს მისიასთან თავსებად ისეთ მიზნებს, როგორიცაა: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის

განვითარება, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ასევე შეიცავს მიზნების შესაბამის ამოცანებს, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს სკოლას დასახული მიზნების განხორციელებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და შემდეგ დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაზე. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამოყენება სახსრების მოსაზიდად, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობების ჩამონათვალს და ამოცანის შესასრულებლად განსახორციელებელ კონკრეტულ ნაბიჯებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს, თუ რა პერიოდის განმავლობაში უნდა შესრულდეს ესა თუ ის აქტივობა,

შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და შესაბამის რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფა არის რეალისტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
პედაგოგიური საბჭოს ოქმი
სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის განხილვა-შეთანხმებაზე.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს წელიწადში ორჯერ. საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია არაგეგმიური მონიტორინგი, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციას სკოლის

დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად. საჯაროობის უზრუნველყოფისათვის კი ანგარიშები უნდა განთავსდეს ვებგვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, მითითებულია ვადები და პასუხისმგებელი პირების წერილობითი ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების ანგარიშები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებგვერდზე. ასევე შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, სადაც თითოეულ სტრატეგიულ მიმართულებას/აქტივობას მინიჭებული აქვს სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. მონიტორინგის შედეგები დეტალურად განხილულ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და სკოლის დირექტორს მიეცა რეკომენდაცია ახალი პრიორიტეტების დადგენასთან ერთად, მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას გაითვალისწინოს ის აქტივობები, რომლის განხორციელებაც მიმდინარე სასწავლო წელს ვერ მოხერხდა და რომელიც კვლავ აქტუალურია სკოლისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი, სადაც განხილულია დირექტორის ანგარიში, თუმცა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში არ იყო გამოქვეყნებული ვებგვერდზე და შესაბამისად, არ იყო

უზრუნველყოფილი მისი საჯაროობა. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში განათავსა ვებგვერდზე. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების საფუძვლიანი შესწავლა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გეგმის კორექტირება. ერთ-ერთ აქტივობად მოაზრებულია ანალიზისა და შეფასების შედეგად მიღებული დასკვნების გათვალისწინება მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. ყოველი წლის დასრულების შემდეგ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა ახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების შედეგები სკოლას აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევებისა და პრობლემებისა შესახებ, რომელსაც შემდეგში სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
სამეურვეო საბჭოს ოქმი-დირექტორის ანგარიში;
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის/ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები
2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ-ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის საჯარო სკოლას 2022 წელს შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის კანონიერი უფლებები და

მოვალეობები, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში გასატარებელი შესაძლო ღონისძიებები. შინაგანაწესით რეგულირდება ასევე მოსწავლეთა წახალისების ფორმები და მისი გამოყენების წესი. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები", რომლის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა უფლებების დაცვა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით, რეფერირების განხორციელების შიდა ინსტრუქციებით და სკოლის სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით. **რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშავოს განცხადების მიღებისა და საჩივრების განხილვის დეტალური მექანიზმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

კლასის დამრიგებელი და დირექტორი სკოლის გაერთიანებულ კრებაზე, სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის სამუშაო გეგმას, ქცევის კოდექსს და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია დერეფანში და ყოველი ცვლილება ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლაში თვალსაჩინოდაა გამოკრული მოსწავლის ქცევის კოდექსი და მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შინაგანაწესი
სასკოლო სასწავლო გეგმა
მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები
რეფერირების განხორციელების შიდა ინსტრუქცია
მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი". ამ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. ბრძანებაში ასევე არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით. სკოლამ წარმოადგინა ,,მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ", ,,მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ" და ,,ამორიცხვის შესახებ" სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული

ბრძანებები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა ნებიმიერ დაინტერესებულ პირს ღიად აწოდებს ინფორმაციას. ინფორმირებისათვის სკოლა მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, როგორიცაა: მშობლებთან პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო საუბრები, სოციალური ქსელების ჯგუფები, თიმსის პლატფორმა თუ ელექტრონული ჟურნალი. კონკრეტულ შემთხვევაში ინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფენ დამრიგებლები, ხოლო ეს უკანასკნელი ინფორმაციის სხვადასხვა რესურსის გამოყენებით უზრუნველყოფენ მშობელთა და მოსწავლეთა ინფორმირებულობას. ასევე სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლაში მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

შინაგანაწესი
მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი
ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე
ბრძანება სტატუსის შეჩერების თაობაზე
ვებგვერდი
სადამრიგებლო პროგრამა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (2023 წლის 08 სექტემბრის N 2-71), მათ შორის სსსმ მოსწავლეების სკოლაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. სკოლა ახალი მოსწავლის ჩარიცხვის

შემდგომ ახორციელებს არაერთ აქტივობას, რათა ისინი ადვილად შეეგუონ სასკოლო გარემოს. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების მიღების პროცედურა და სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები, სადამრიგებლო პროგრამებში ასევე გაწერილია დამრიგებლის მუშაობის მიმართულებები დამეგობრებისა და კლასში მეგობრული ატმოსფეროს დამკვიდრების მიმართულებით, რაც მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობის ნაწილია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, კლასების დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან ისეთი გარემო, რაც მათ დამეგობრებას შეუწყობს ხელს და რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მოსწავლის ადაპტაციის პროცესზე. ათვალიერებენ სკოლის შენობას და აცნობენ ყველა ფუნქციურ ადგილს, ბიბლიოთეკას, კლას-კაბინეტებსა თუ სკოლის ეზოს, აცნობენ ასევე შინაგანაწესს და სკოლაში მოსწავლეთა ქცევის წესებს, რათა მოსწავლეებმა მარტივად შეძლონ სოციალიზაცია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეები სკოლისგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სპეციალურად შემუშავებული ფორმების გაგზავნით, მშობლები ინფორმირებულნი არიან სემესტრული/წლიური ნიშნის ამაღლების შესაძლებლობის თაობაზე. ასევე ექსტერნატის გამოცდის თავიდან აცილების მიზნით დამრიგებლები მუდმივად აღრიცხავენ მოსწავლეთა დასწრებას და საჭიროების შემთხვევაში უკავშირდებიან მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, აფრთხილებენ შესაძლო შედეგების შესახებ. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წერილობითი განაცხადის შემთხვევაში სკოლა მზადაა უზრუნველყოს შესაბამისი ტიპის გამოცდის ჩატარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შინ სწავლების მომსახურებას, შესაბამისი წინაპირობისა და პროცედურის დაცვით. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მხარდამჭერი ინტერვენციების მონიტორინგის ფორმები, რომელსაც ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალურ აქტივობებს, როგორიცაა ექსკურსიები, გასვლითი გაკვეთილები, ვიზიტები სხვადასხვა დაწესებულებაში, შეჯიბრებები, კონფერენციები და სხვა. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად უწყობს ხელს მსგავსი არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, რასაც ადასტურებს სკოლაში განხორციელებული პროექტები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით დაარსდა ეკოკლუბი ,,ცისარტყელა“, კლუბის წევრებმა შეიმუშავეს სტრატეგიული გეგმა რომლის მთავარი მიზანია:

- ეკოკლუბის მეშვეობით სკოლაში გარემოს დაცვითი განათლების დანერგვის ხელშეწყობა.
- თემში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

ყვარლის მუნიციპალიტეტთან და რაიონის თვითმართველობასთან, ყვარლის რესურსცენტრთან, სკოლაში არსებულ სხვა კლუბებსა და თემებთან, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების და მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით განახორციელეს სხვადასხვა აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების დასადგენად სკოლას შემუშავებული აქვს სხვადასხვა შინაარსისა და მიზნის კითხვარები, რომელსაც ავსებენ როგორც მოსწავლეები, ისე მშობლები, ასევე სხვა დაინტერესებული პირები. ასევე დამრიგებლები აწყობენ პირისპირ შეხვედრებს, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა იდეების მიღება და შემდეგ გაზიარება. სკოლა აქტიურად იყენებს და აწარმოებს ელექტრონულ გამოკითხვებს, რომელთა შინაარსიც დეტალურად ეხმიანება სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი (.N2-87. 24.10.2023)
მშობელთა ინფორმირების ფორმები
მოსწავლის აკადემიური პროგრესის მონიტორინგის ფორმები
მოსწავლის დასწრებისა და ჩართულობის მონიტორინგის ფორმები
მშობელთან შეხვედრის ოქმი
სასკოლო სასწავლო გეგმა
რემედიაციის პროგრამა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში 2016 წლიდან დანერგილია პროფორიენტაციის მიმართულებით აქტიური მუშაობა, სკოლას ასევე გამოყოფილი ჰყავდა პასუხისმგებელი პირი, რომლის მთავარი მოვალეობა იყო მოსწავლეების დახმარება და მათთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ასევე სადამრიგებლო პროგრამების განხილვის შედეგად დადგინდა, სკოლა მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების და უნარების

განვითარებაში. დამრიგებლები აქტუალური თემის ფარგლებში მოსწავლეებს უტარებენ საუბრებს პროფესიული უნარების განვითარების თაობაზე, ასევე საინტერესო და პრიორიტეტული პროფესიების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში, საბაზო და საშუალო საფეხურის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. ამ მიზნით დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს, როგორც კლასის საათის ფარგლებში, ასევე პირისპირ შეხვედრისას, იღებენ მათგან ინფორმაციას, თუ ვის რა პროფესიული განათლების მიღება ან სწავლის უმაღლეს სასწავლებელში გაგრძელება სურს. დამრიგებლები უზრუნველყოფენ აღნიშნული ინფორმაციის დირექციისათვის მიწოდებას, რომლის საფუძველზეც დირექცია უზრუნველყოფს უნივრსიტეტებთან ან/და კოლეჯებთან შეხვედრების ორგანიზებას, ადგილზე ვიზიტსა და გარემოს დათვალიერებას. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ა(ა)იპ ქართულ უნივერსიტეტთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა პერიოდულობით იყენებს კითხვარებს, მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა აზრის გასაგებად მათ მიერ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობაზე, შედეგების გაანალიზების შემდეგ კი სასკოლო საზოგადოების აზრი გათვალისწინებული და ასახულია სკოლის ცხოვრებაში. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სადამრიგებლო პროგრამა;
კითხვარები
 უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

   სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში ვხედავთ, რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პედაგოგიურ მხარდაჭერას, ინდივიდუალურ მიდგომებს, მშობლისა და სპეციალისტების ჩართულობას, რესურსების უზრუნველყოფას და ინკლუზიური განათლების თანამედროვე პრინციპების დაცვას. მაგალითად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აღმწერი პროცესები, ალტერნატიული მეთოდები და მხარდაჭერა, შეფასების სისტემა, ფიზიკური გარემოს ადაპტირების გაუმჯობესების მექანიზმები, ასევე სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალები, კითხვარები იძლევა შეფასების საშუალებას, რომ სკოლას აქვს ჩამოყალიბებული მექანიზმი სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისთვის, რომელიც მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, მრავალპროფილური სამუშაო ჯგუფის შექმნას, პროცესის მონიტორინგს, მშობლებისა და სპეციალისტების ჩართულობას, რესურსების უზრუნველყოფას და სისტემურ კომუნიკაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წამოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოება თანამშრომლობის პრინციპებზე დაყრდნობით ზრუნავს სსსმ მოსწავლის განვითარებაზე, ისგ ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ და მსჯელობენ მოსწავლის წინსვლაზე, აფასებენ არსებულ გამოწვევებს და სახავენ გადაჭრის გზებს. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის წესი. ამჟამად სკოლაში სწავლობს 4 სსსმ მოსწავლე, რომელთაც სკოლა ემსახურება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაცია

ისგ ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი

სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ამ ეტაპზე დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ამ ეტაპზე დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

თარიღი: 11/06/2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: